

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**ქ.თბილისში იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლებაზე კორპუსებში ინდივიდუალური განმრცხველიანებისათვის საჭირო შიდა ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები (IV ეტაპი)**  
**სატენდერო პაკეტის ნომერი: SB/IDP/CW/73-2010**

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს ქ. თბილისში იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლებაზე კორპუსებში (18 კორპუსი 1811 აბონენტი) ინდივიდუალური განმრცხველიანებისათვის საჭირო შიდა ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები (IV ეტაპი). (ტენდერის ნომერი: SB/IDP/CW/73-2010).

2. დაინტერესებულმა პირებმა ტენდერში მონაწილეობის მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 150 ლარის ოდენობით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

**ბანკი “რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი**  
**გრ. აბაშიძის ქუჩა №2, თბილისი, საქართველო**  
**ბანკის კოდი: 220 101 757**

**მულტისავალუტო ანგარიშის №: 105 415 192 80**

**ბენეფიციარი: სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**

სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და წერილობითი განაცხადის წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე, დაინტერესებულ პირებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2010 წლის 28 ივლისის 12:00 საათიდან 2010 წლის 18 აგვისტოს 12:00 საათამდე.

3. შესყიდვის ობიექტი და განსახორციელებელი სამუშაოების მოკლე აღწერა:

**ქ. თბილისში იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად ჩასახლებაზე კორპუსებში ინდივიდუალური განმრცხველიანებისათვის საჭირო შიდა ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები:**

- მრიცხველების კარადიდან მომხმარებელამდე სპილენძის (2x10+1x6)მმ<sup>2</sup>-იანი კვეთის ელექტრო სადენების მოწყობა, საერთო სიგრძით – 55333 მ;
- სადარბაზოებში და კიბის უჯრედებში განათების (2x2.5+1x1.5)მმ<sup>2</sup>-იანი კვეთის ელექტრო სადენების მოწყობა, საერთო სიგრძით – 8303 მ;
- ალუმინის კაბელი ბაგირით ან (ტორსადა) AL-1 (2x16+1x10)მმ<sup>2</sup>-იანი მოწყობა, საერთო სიგრძით – 1076 მ;
- სადენების დამცავი ხუფის მონტაჟი, საერთო სიგრძით – 5271 მ;
- ორპოლუსა ავტომატების (63 ამპ) მონტაჟი – 1839 ცალი;
- გამანაწილებელი ყუთების მონტაჟი – 779 ცალი.

*დეტალები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.*

4. სამუშაოების შესრულების სასურველი ვადა შეადგენს 3 თვეს.

5. **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას** (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების შესახებ;
- პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს ლიცენზია და გამოცდილება ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების განხორციელებაზე

6. შერჩევის პროცესში საკვალიფიკაციო მონაცემები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

7. სატენდერო დოკუმენტაციით პრეტენდენტისთვის მოთხოვნილი სავალდებულო მინიმალური მოთხოვნები:

- პრეტენდენტის ერთობლივი შემოსავალი ბოლო სამი კალენდარული წლის (2007, 2008 და 2009) განმავლობაში ჯამში უნდა შეადგენდეს **მინიმუმ 2 მლნ. ლარს**, აღნიშნული ინფორმაციის

დასადასტურებლად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი ბოლო სამი კალენდარული წლის მოგების გადასახადის დეკლარაციის ასლი ან დუბლიკატი.

- პრეტენდენტს ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ 1 მსგავსი მოცულობისა და სირთულის სამუშაო. სამუშაოთა მოცულობა და სირთულე შედარებული იქნება ამ ტენდერის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოებთან. აღნიშნულის დასადასტურებლად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია შესრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ, დამკვეთისა და სახელშეკრულებო ღირებულების მითითებით.

8. დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2010 წლის 28 ივლისის 12:00 საათიდან 2010 წლის 18 აგვისტოს 12:00 საათამდე.

9. სატენდერო წინადადება ძალაში უნდა იყოს ტენდერის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში.

10. სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ფორმის მიხედვით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით. წარმოდგენილი გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

11. სამუშაოთა სავარაუდო ღირებულება შეადგენს **720 000 ლარს**.

12. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, ერთ დალუქულ კონვერტში და სატენდერო საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით **2010 წლის 18 აგვისტოს 12:00 საათამდე**, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე. სატენდერო საფასურის ოდენობა შეადგენს **50 ლარს**, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101757, მიმღები: ს.ს.ი.პ. „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“, მიმღების ანგარიშის №10591718543 (სატენდერო საფასურის გადახდის დანიშნულებაში უნდა იყოს მითითებული ზემოთ აღნიშნული ტენდერის დასახელება);

13. სატენდერო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2009 წლის 18 აგვისტოს 12:00 საათზე**, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

14. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება საბანკო გარანტია სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით (აღნიშნული გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებისას).

15. ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა დაუშვებელია.

16. **2010 წლის 18 აგვისტოს 12:00** საათის შემდეგ შემოსული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

17. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართი:

საქართველო, ქ. თბილისი 0112, დ. აღმაშენებლის გამზირი 150, III სართული;

ტელ: (995 32) 48-45-09/10/11/15

ფაქსი: (995 32) 48-45-55

ელ-ფოსტა: [procurement@mdf.org.ge](mailto:procurement@mdf.org.ge)

ინტერნეტ-გვერდი: [www.mdf.org.ge](http://www.mdf.org.ge)

აღმასრულებელი დირექტორი ბ-ნი კონსტანტინე მგელაძე